რედაქტორისგან

ინტერნეტგაზეთ mastsavlebeli.ge დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა სტატია სათაურით „როგორ ცხოვრობენ მასწავლებლები სხვა ქვეყნებში“. სტატია სხვადასხვა ქვეყანაში მასწავლებლების ყოფასა და მათი შრომის ანაზღაურებაზე მოგვითხრობდა. ბოლო ხანს ჩვენს არც ერთ პუბლიკაციას ასეთი გამოხმაურება არ მოჰყოლია. მასწავლებლები გულისტკივილით გვწერდნენ მათ დაუფასებელ შრომაზე, მცირე ანაზღაურებაზე და სხვა ქვეყნების პედაგოგთა ბედს შენატროდნენ.

მეც ვყოფილვარ მასწავლებელი და ვიცი, რამდენ შრომასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს ეს ურთულესი პროფესია. მუდამ მიმაჩნდა (და დღესაც მიმაჩნია), რომ ის შრომა, რასაც მასწავლებელი ცოდნის გადაცემისა და პიროვნების აღზრდისთვის გასცემს, ხელფასით ვერასოდეს გაიზომება, ანაზღაურება ვერასოდეს იქნება ამ ძალისხმევის თანაბარი, მაგრამ მასთან მიახლოებული მაინც უნდა იყოს.

მე მესმის ჩვენი მასწავლებლების გულისტკივილი.

თუმცა ამ პუბლიკაციას იქვე მივაყოლეთ წერილი „რატომ არ უყვართ ბავშვებს სკოლა“, – სადაც ავტორი აღნიშნავდა: „ჰკითხეთ ნებისმიერ მოსწავლეს, რატომ არ უყვარს სკოლა – ის გიპასუხებთ: „სკოლა ციხეა“. შესაძლოა, ზუსტად ეს სიტყვები არ იხმაროს, იმიტომ რომ ძალიან ზრდილობიანია, ანდა გამუდმებით ჩააგონებენ, სკოლა სიკეთეაო, მაგრამ თუ მის სიტყვებს გაშიფრავთ, ამოიკითხავთ შინაარსს, რომ სკოლა ციხეა“.

ამ ტიპის და სხვა, უფრო მნიშვნელოვანი სტატიების თაობაზე მასწავლებლები სიჩუმეს ამჯობინებენ.

მე კი, რაც რედაქტორი ვარ, მასწავლებლებისგან სწორედ გამოხმაურებასა და ურთიერთანამშრომლობას ვითხოვ.

მალე ახალი წელი დაგვიდგება. ჟურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი mastsavlebeli.ge გილოცავთ შობა-ახალ წელს. გისურვებთ, ახალი წლიდან თქვენი შრომა მეტად დაეფასებინოთ და თქვენს მოსწავლეებსაც უფრო მეტად ჰყვარებოდეთ სკოლა.

ნატო ინგოროყვა
მთავარი რედაქტორი

N6(24),2012

მასწავლებელი

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149

UDC 371.1 / მ-374

რედკოლეგია: გია მამულაშვილი, ნინო რევიშვილი, თეა კვინტრაძე, ნათია ნაცვლიშვილი, ეკა ჯელაძე | **მთავარი რედაქტორი:** ნატო ინგოროყვა | **რედაქტორი:** ირაკლი კაკაბაძე | **სტილისტი:** ირმა ტაველიძე | **დიზაინი:** ბესიკ დანელია | **ფოტო:** გელა ბედიანაშვილი | **მხატვარი:** მამუკა ტყეშელაშვილი | **კორექტორი:** ქეთევან ნიკოლეიშვილი.

ნომერზე მუშაობდნენ: გიორგი ნოზაძე, მანანა ბოჭორიშვილი, თეო ნეფარიძე, მარიკა სიხარულიძე, ნონა ლეიაშვილი, ქეთო ნინიძე, თეო ჭყოიძე, თამარ კაციტაძე, ნათია ნაფეტვარიძე, ლევან სებისკვერაძე.

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე. ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

საკონტაქტო ინფორმაცია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი. მისამართი: თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1, ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

www.tpdc.ge

მინისტრის გვერდი

ნატო ინგოროყვა

4 მე ვენდობი მასწავლებელს

ინტერვიუ განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან ბატონ გიორგი მარგველაშვილთან „ბებიაჩემი სამოცი წელი ასწავლიდა სკოლაში, დედაჩემი პედაგოგია უმაღლეს სასწავლებელში. თვითონაც, მრავალი წელია, ამ სისტემაში ვარ. მე ვენდობი მასწავლებლებს, ვანდე მათ ჩემი შვილი და იმედი მაქვს, ისინი საკუთარი აქტიურობით სწორი ნაბიჯების გადადგმაში დამეხმარებიან“.

ექსპერტი

თეო ნეფარიძე

8 საშინაო დავალების გავლენა სწავლის ეფექტიანობაზე

საშინაო დავალების ეფექტურობის შესახებ ინფორმაცია და/ან მტკიცებულებები ჯერ არ არსებობს. ამ მიმართულებით კვლევის ჩატარება უაღრესად მნიშვნელოვანია და განათლების მკვლევართათვის მომავლის საქმეა.

ქეთო ნინიძე

35 ღირებულებების საკითხი და ქართული კულტურა

შემწყნარებლობა, უცხოს პატივისცემა, თავისუფლებისაკენ ლტოლვა ის ღირებულებებია, რომლებიც მუდმივ ანალიზს, რეფლექსიას, შრომას უკავშირდება. ეს არ არის ერთხელ და სამუდამოდ მოპოვებული რამ. სკოლამ თავისი როლი უნდა შეასრულოს ღირებულებათა განვითარების საქმეში – ეს დიდი პასუხისმგებლობაა, რაც ყველამ უნდა გაისიგრძეგანოს.

გლობალური სკოლა

გიორგი ნოზაძე

12 სადიაგნოსტიკო შეფასების არსი და დანიშნულება

თანამედროვე საგანმანათლებლო კვლევების მიხედვით, განმავითარებელი შეფასება, ანუ შეფასება სწავლისთვის არის საგანმანათლებლო ფაქტების მოძიებისა და ინტერპრეტაციის პროცესი. ამ ფაქტებს მოსწავლეები და მასწავლებლები იყენებენ. ამ გზით ირკვევა, თუ რა აითვისეს მოსწავლეებმა, კიდევ რა უნდა ისწავლონ და როგორ.

რჩევები

მანანა ბოჭორიშვილი

16 ეფექტური კომუნიკაცია საკლასო ოთახში, ანუ გზავნილების პედაგოგიკა

კომუნიკაციის ხელოვნებას დაუფლებული პროფესიონალი მასწავლებლები აქტიური მოსმენის სამ ძირითად ვარიანტს იყენებენ. ესენია: პერიფრაზი, შეჯამება, დაზუსტება. მასწავლებელი საუბრისას ცდილობს, მოსწავლემ აქტიურად უსმინოს და დროდადრო სთხოვს მსმენელ-მოსწავლეებს, გააკეთონ ამა თუ იმ მოსმენილი მოსაზრების პერიფრაზი, შეჯამება და დაზუსტება. ის ასევე ცდილობს, იყოს აქტიური მსმენელი.

მარიკა სიხარულიძე

24 საკომუნიკაციო მეთოდიკის ძირითადი თეზისები

უცხოური ენის სწავლების ისტორიაში არაერთი მეთოდიკა გვხვდება. ისევე, როგორც მეცნიერების სხვა მიმართულებებში, ამ სფეროშიც მიდგომების შეცვლას და სიახლეების დანერგვას, სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნებთან ერთად, სხვადასხვა სამეცნიერო თუ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი განაპირობებს.

თამარ კაციტაძე

54 თვითშეფასება როგორც წარმატების საწინდარი

ყველა ბავშვს სჭირდება საყვარელი ადამიანებისგან ისეთი სიტყვების გაგონება, როგორებიცაა: „მე მჯერა შენი. მე ვხედავ შენს მონდომებას. ასე გააგრძელე!“ გამხნევება პროგრესის აღიარებას ნიშნავს და არა მხოლოდ მიღწევების დაჯილდოებას.

შინაარსი

50

მოსაზრება

ნათია ნაფეტვარიძე

39 **კლასიკური ლიტერატურის სწავლებისათვის სკოლაში**

სჭირდება თუ არა 21-ე საუკუნის მოსწავლეს კლასიკური ლიტერატურის სწავლა? ამის შესახებ სხვადასხვა აზრი შეიძლება მოვისმინოთ; მაგალითად, ასეთი: 21-ე საუკუნის მოსწავლემ უნდა ისწავლოს კლასიკური ლიტერატურა, რადგან პრობლემები, რომელთა შესახებაც წერდნენ ამ ნაწარმოებებში, ჯერ კიდევ აქტუალურია.

ნონა ლეიაშვილი

46 **პოსტკონვენციური მორალი და ქართული ლიტერატურის პერსონაჟები**

მხატვრული ლიტერატურა რომ დიდ ზემოქმედებას ახდენს მოსწავლეთა მორალურ განვითარებაზე, ამის შესახებ ბევრი დაწერილა და კიდევ ბევრი დაიწერება. ამჯერად კოლბერგის მორალური განვითარების თეორიაზე ვიმსჯელებთ და შევეცდებით, ვაჩვენოთ, თუ როგორ შეიძლება შევუწყოთ ხელი მოსწავლეთა მორალურ განვითარებას ლიტერატურის გაკვეთილებზე.

რესურსი

თეო ჭყოიძე

20 **წერის ორი ეფექტური სტრატეგია**

წერით პროცესებთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევის ყველაზე ეფექტურ და აპრობირებულ გზას მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა მრავალფეროვანი წერითი სტრატეგიებით აღჭურვა და მათი პრაქტიკაში გამოყენება წარმოადგენს.

რუსუდან თაყაიშვილი

42 **სასარგებლო ვებრესურსები – ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მასწავლებლებისათვის**

უკვე რამდენიმე წელია, რაც საქართველოს ყველა სკოლა კომპიუტერიზებულია. მათთვის ინტერნეტიც ხელმისაწვდომია. ეს პირობები მასწავლებლებს საშუალებას აძლევს, პროფესიული საქმიანობისათვის ინტერნეტის მეშვეობით მოიძიონ, დაამუშაონ და გამოიყენონ სხვადასხვა საიტზე განთავსებული ფოტო, აუდიო, ვიდეო მასალა. ეს სასწავლო პროცესს უფრო სახალისოს, მრავალფეროვანსა და ეფექტიანს ხდის.

ინტერვიუ

ლევან გიგინეიშვილი

31 **მასწავლებლობა მუდმივი ძიების პროცესია ინტერვიუ**

სკოლა ცოცხალ ინტერესს უნდა უღვივებდეს მოსწავლეს ამა თუ იმ საგნისადმი და, ამ ინტერესიდან გამომდინარე, უვითარებდეს მას კონცენტრირებული კითხვის, დისციპლინირებული სწავლის უნარებს.

პრობლემა

ლევან სეფისკვერაძე

50 **სპორტის სწავლება სკოლებში**

მოზარდს დაწყებითი კლასებიდანვე უნდა ჩავუნერგოთ ფიზიკური აქტივობის აუცილებლობის შეგნება. მან უნდა გააცნობიეროს, რომ ჯანმრთელობა ნიშნავს არა რომელიმე დაავადების არქონას, არამედ მის თავიდან აცილებას, რაც ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვით არის შესაძლებელი.



ინტერნეტგაზეთი
www.mastsavlebeli.ge

27-30